იგავური ენის ასპექტები ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებში „ოსტატი“

ბელა დურგლიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
E-mail: beladurglishvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.11

იგავურობა სინათლისა და ბუნდოვანების სინთეზის გამო ყოველთვის აღძრავს უამრავ ფიქრსა და შეკითხვას, მას თავისი ლოკალური და ამავე დროს განზოგადებული იდეურობა გააჩნია. მთავარი კი, რაც იგავურობის კონტექსტებში უნდა მოვიძიოთ, მარადიული სიბრძნეა, რომელსაც იგავთმეტყველების ოსტატები გვამცნობენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამყარო ტექსტია, ხოლო ყოველი ადამიანი გარკვეული სახის ტექსტი, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე სამყარო იგავის განსახიერებაა, ხოლო ადამიანი თავად იგავი.

იგავის ავტორები პერსონაჟებს მუდმივ ხასიათს ანიჭებენ, რადგან, მათი აზრით, იგავში უმთავრესი სწორედ მორალიზაცია, „კეთილი“ და „ბოროტი“ საწყისის დანახვაა. მითის მსგავსად იგავის მხატვრული ტრანსფორმაციის უმაღლესი საფეხური ლიტერატურულ ტექსტში იკითხება. სწორედ მასში გამოისახება თანამედროვე მაღალმხატვრული აზროვნების ფილოსოფიური საფუძველი: ხილული სამყაროს მიღმა აბსოლუტური იდეის არსებობა. პირველითაგანვე ხომ იყო იგავი. ამ ქვეყნად ყოველივე იგავით შეიქმნა, რაც კი შეიქმნა. იგავი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას. იგავი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად დარჩება, დარჩება, ალბათ, იგავი.

იგავის გაცოცხლებით პროფანული ქრონოლოგიური დროიდან გავდივართ და თვისებრივად განსხვავებულ დროში შევდივართ. ანუ იგავის ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც პირველი საუკუნის ჰაერით არ სუნთქავს, არ შეიძლება იყოს მართებული [ალისონი 2008: 12] ყველა წმინდა მამა ერთხმად აღიარებს იგავის სასიკეთო ძალასა და გავლენას: „იგავი არს სიტყუაი სარგებლისაი, რომლისა ძალი დაფარულ არნ, რომელი–იგი სახმარი იყოს და კეთილ ესრეთ, ცხადად გულისხმისსაყოფად“ (იოანე ოქროპირი). წმინდა იოანე პეტრიწის თქმით, „დიდად სარგებელ არიან იგავნი ჩუენდა, რაითა მათ მიერ შეუძლოთ წინა – აღდგომად მათდა, რომელნი–იგი ხელოვნებითა სოფლისაითა გუეტყოდიან“ [კეკელიძე 1976 : 48].

იგავი შედარება–შეპირისპირების ნაირგვარ საშუალებას იძლევა, მონდომებულ მსმენელსა და მკითხველში ცნობისწადილს აღძრავს და ძიებისაკენ უბიძგებს. ანალიტიკური წვდომის სურვილსა და უნარს უღვიძებს იგავის მსმენელს და შემეცნების ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. უფლისმიერი იგავის გასაოცარი თვისება ხაზგასმულია: გონიერს მიზანსწრაფულობით აღავსებს, უზენაესი სიბრძნის გზებზე დააყენებს და აპოვნინებს კიდეც მას. მაგრამ უგუნურისა და უღირსისა-

თვის ეს სიბრძნე იგავური საფარველით თითქოს საგანგებოდ ინიღბება და ხელ-შეუხებელი რჩება. იგავის გულისხმიერ მკითხველს თავისი გულმოდგინების წილ ეწ-ვევა ღვთიური მადლი და წყალობა, უგულისხმო კი საკუთარი უდებებისა და უგუ-ლისყურობის გამო, მართლაც რომ ღვთიურ სასჯელს დაიტეხს თავზე და საზარელ სუ-ლიერ სიბრმავეს იმკის: „ხოლო იგი ეტყოდა მათ (მოწაფეთ): თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოი იგი სასუფეველსა ღმრთისაი, ხოლო გარეშეთა მათ – ყოველივე იგა-ვით სიტყვად. რაითა ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გუ-ლისხმა–ყონ, ნუუკუე მოიქცენ და მიეტეოს მათ ცოდვაი მათი“ [მარკოზი 4, 11–12; მათე 13, 14–15, იოანე 12, 40, ესაია 6, 9–10]. როგორც მოცემული ფრაგმენტიდან ირკვევა, მა-ცხოვარი განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს იგავს, როგორც ადამიანის ღვთის სასუ-ფეველთან დასაახლოვებელ გზას სულიერ ხილვისა და გულისხმისყოფის მეშვეობით. ამ შესანიშნავი ორკეცი (მრჩობლი) თვისებით სახარების იგავი ცეცხლსა და ღრუბლის სვეტს ემსგავსება, რომელთაგან პირველით ღმერთი ეგვიპტიდან გამოსულ ისრაელია-ნებს უნათებდა სავალს, მეორით კი მდევარ ეგვიპტელთ უბნელებდა გზას. მართლაც, თეოლოგიური შეხედულებით, იგავი ცეცხლის სვეტივით მიუძღვის ღვთის სიტყვის მძებნელს, ხოლო ურწმუნოსა და ღვთის მოძულეს იგი ღრუბლის სვეტად აღემართება და ჭეშმარიტებისაკენ მისასვლელ გზას უბნევს.

სახარების იგავი ჩანასახიდანვე მოიაზრებს ზეციურ ჭეშმარიტებას. მას კიდევ ერთი მიზანი აქვს: ცოდვით დასნებოვნებული სულის განკურნება, გონების გამართვა და გაჯანსაღება, ღვთიური პირველსახის აღძვრა.

იგავური აზროვნება ვერ თავსდება ლოკალური ლიტერატურული ფორმის ჩარჩო-ში ჟანრობრივი თვალსაზრისით და იძენს უსაზღვრო მასშტაბურობას, რადგან მკვიდ-რდება ადამიანთა ცნობიერების სფეროებში სამყაროს არსებობის ადრეული სტადიი-დანვე. ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს იგავის მხატვრული სიმბოლოები, მათი მნიშვნელობების ფართო სპექტრი, რომლებიც ლიტერატურულ ტექსტებში ერთი და იმავე ან სხვადასხვა სახით შეიძლება წარმოჩნდეს სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ამ მიმართულებით განსაზღვრულ მდგრადობას ინარჩუნებს ბიბლიის, კერძოდ, სახარე-ბის იგავთა, მხატვრული სიმბოლოების მნიშვნელობა.

სიმბოლო ქრისტიანულ მოძღვრებაში არა მარტო რთულ სახეთა სისტემაა, არამედ თვით მოძღვრების არსი, კოდექსია. წარმოსახვითი შეცნობის ის უნივერსალური ფენო-მენი, რომელსაც სიმბოლო ჰქვია, ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ბიბლიურ-სახარებისეულ კოდთან ასოცირდება და მისი არსის მისტიკური იდუმალება მწერალმა თავის შემოქმე-დებაში უნდა გამოავლინოს. მხატვრული ენის ცენტრალურ კონცეპტი – სიმბოლო რეაგი-რების იმგვარი მექანიზმია, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული, ეფექტური რეჟი-მით და უღრმესი შინაგანი ფუნქციით – აღძრას ყოფიერებისა და არსებობის მთლიანო-ბის განცდა, გააძლიეროს სიცოცხლის ხილულ და უხილავ ფორმათა კავშირის შეგრძნება ზოგადად და, განსაკუთრებით, ცნობიერების კრიზისულ ეტაპებზე. სიმბოლოთა და ნი-შანთა შერწყმა, „მათი დაყვანა უნივერსალურ, პირველად ერთეულებამდე გვაძლევს არქე-ტიპებს, რაც საერთოა ადამიანთა ფსიქიკისათვის, ისევე როგორც ქრომოსომები და გენე-ბი“ [სიგუა 2010: 163].

სახარებაში მოთხრობილი იესოს იგავები მიისწრაფვის შეცვალოს მსმენელი და მკითხველი. იგავის რიტორიკული სტრატეგია წარმატებულად ახერხებს აუდიტორიის

ტრანსფორმაციას. იგავის მხატვრულ–სახეობრივი სამყარო იწვევს მაყურებელს იცხოვროს იგავში, იწვევს ფიქტიურ დრამაში მონაწილეობისათვის, რომელიც შეიძლება მის რეალურ ცხოვრებად გადაიქცეს. სიმბოლოთა იდენტიფიკაცია და წინასწარი დასასრული – ის ორი მოწყობილობაა, რომელიც აიოლებს და აღრმავებს ამგვარ შემოქმედებით მონაწილეობას იგავის ისტორიაში. ეს მექანიზმი ეხმარება ადამიანს საკუთარი თავი თხრობის პროცესში წარმოიდგინოს. იგავები უმეტესად მოულოდნელად მთავრდება, სანამ პერსონაჟი რაიმე სერიოზულ გადამწყვეტ დასკვნამდე მივა, სანამ მნიშვნელოვან არჩევანს გააკეთებდეს. იგავში მოთხრობილი ისტორიის წინასწარი შეწყვეტა იწვევს მკითხველსა თუ მსმენელს, რომელნიც თავს ამ ისტორიის პერსონაჟებად წარმოიდგენენ, საკუთარ თავს დაუსვან კითხვა, რას აირჩევდნენ მათ ადგილზე.

იგავის ექსტრალინგვისტური, სოციალურ–ისტორიული მიკროსქემა აყალიბებს სიღრმისეულ პლანს მხატვრულ ტექსტში. ეს მკაფიოდ ვლინდება იგავური ტექსტის დიაქრონული წაკითხვისას. სიუჟეტური ხაზის განვითარების თანახმად, ეს ისტორიული ორიენტაცია ამტკიცებს, რომ ნაწარმოების სიუჟეტური ლოგიკა ჰარმონიულად შეერწყმება ექსტრალინგვისტურ კონტექსტად წოდებულ მნიშვნელობას ანუ იგავს. ამ ტიპის ჰერმენევტიკული ორიენტაციის ტრაექტორია მოიცავს სოციალურ–ისტორიული სამყაროს უნივერსალურ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ სამყაროს ონტოლოგიურ, ისტორიულ და სივრცით სფეროებში იგავები თანდათან მცირდება [უიდენი 2017 : 106]. ერთი მხრივ, ტრადიციული იგავი, უმეტესწილად, ისტორიულად მიწიერ სამყაროსთან გვაახლოებს შემეცნებითი სიტუაციებით, მეორე მხრივ, ერთი შინაგანი მონოლოგური ისტორია, გარეგნულად უბრალო, უთანაბრდება ჩვეულებრივ რეალობას და მკითხველი აღმოაჩენს მორალური, ფილოსოფიური, ეთიკური კატეგორიების მქონე ზემგრძნობიარე საკითხებს. იგავის არქიტექტურას მ. ბახტინი მოიხსენიებს, როგორც პოლიფონიას – წინააღმდეგობას უცნობ ხმასთან.

იგავში მეტაფორულ – სიმბოლური აზროვნება ჭარბობს, იგი განაპირობებს სამყაროს ლოგიკურ–დისკურსიულ ხედვასაც და უხილავი კონტექსტის შეცნობის მცდელობასაც. სხვაგვარი ჰერმენევტიკული მოდელი – სტრუქტურალიზმი მიიჩნევს, რომ იგავური მნიშვნელობა მხოლოდ მხატვრული ტექსტის სიღრმისეულ სტრუქტურაში გონებით განჭვრეტილი შინაგანი ლინგვისტური კოდებით წარმოიქმნება.

სამყაროს არსებობის სახარებისეული იგავური განზომილებანი მწერალთა ლიტერატურულ სამყაროში იძენს თავის დასრულებულ სახეს, იგავის სინქრონულ–დიაქრონული მეტყველება კი თავის მხრივ განაპირობებს კულტურის პარადიგმულობას. მართლაც, მსოფლიო ლიტერატურა იგავმეტყველების ამოუწურავი სალარო, ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუკვლეველი და შეუსწავლელი, რომელიც უამრავ საიდუმლოს მალავს. იგავმეტყველების ლაბირინთებში მავალს, გასაღებად სწორედ ის იგავი გამოადგება, რომელიც ყველა ეპოქაში, ყველა დროში, სხვადასხვა ეთნოსშიც კი თავის მარადიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს და ატარებს.

ქართულ მწერლობაში ეს მოსაზრება თავის განუმეორებელ დატვირთვას იძენს ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედების მაგალითზე. განსაკუთრებით დიდ ინტერესს აღძრავს 2025 წელს გამოცემული და ამჯერად ხელნაწერი სახით დაბეჭდილი მისი ნაწარმოები „ოსტატი“. ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც მწერალს სპეციალურად აქვს ხელით გადაწერილი ისე, რომ მკითხველისთვის ადვილად წასაკითხი ყოფილიყო. მოთხრობის

არსი მარადიულ პრობლემას – ბოროტების მემკვიდრეობითობის მექანიზმს – ეხება, და შესაძლოა ჩვენს თანადროულობას ყველაზე მეტად ეხმიანებოდეს. გამოცემა გაფორმებულია ავტორისეული გრაფიკული მონახაზებითა თუ სახეებით, რომლებიც ხელნაწერებშია გაბნეული და, რომელთა დანიშნულებაც, ალბათ მხოლოდ ფიქრის პროცესში მიხმარება უნდა ყოფილიყო.

თავისი განუმეორებელი სამეტყველო სტილით მწერალი იწყებს თხრობას იმ დაუჯერებელი ქვეყნის შესახებ, რომელშიც „დაუჯერებელი ხალხი ცხოვრობს, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ და სძულთ“[ქარჩხაძე 2025: 2]. ეს მხარე უფრო იმიტომაა დაუჯერებელი, რომ „იქაურობა ვეება მდინარითაა დაფარული, რომლის ულმობელი ტალღები დიდი სიჩქარით მიქრიან არარსებობის თავდაღმართში და, რაც არსებობს, არსებობს კიდეც და იმავდროულად არც არსებობს“ [ქარჩხაძე 2025: 3]; ეს მდინარეც სხვა არაფერია, თუ არა არსებობის მდინარე, იგავის მისიაც იკითხება მის მდინარებაში – გამოგონილ ამბავში ჩატეული მარადიული დროის ტალღა, რომელიც ქმნის კიდეც მარადიული დრო–სივრცის ქრონოტოპს. შესაძლოა, ამგვარი ანტინომია განაპირობებს, რომ ჯემალ ქარჩხაძის ყველა არაკი სევდიანია.

მოძღვრის მიერ მოთხრობილ ამბავში კი ნათქვამია, რომ იმ დაუჯერებელ ქვეყანაში, რომელმაც არ იცოდა რა იყო კაცის კვლა, ხელმწიფეს მოესურვა, რომ კანონი აღსრულებულიყო: „მაშ, რიღასთვის შემოვიღეთ ეს კაცისკვლის კანონი, თუკი არ შესრულდებაო?!“[ქარჩხაძე 2025:6] მიუხედავად ვეზირთა რჩევებისა, ხელმწიფისათვის უმნიშვნელოვანესი იყო, რომ ამავე დროს მისი ქვეშევრდომები შეგუებულნი ყოფილიყვნენ ამ კანონთან. დიდი ვეზირის აზრით, „ეს საქმე ისეთი საქმეა, აზრით და შეგნებით უნდა გავიმარჯვოთ, თორემ მორალურად მუდამ დამარცხებული დავრჩებით“[ქარჩხაძე 2025: 12] ხელმწიფე დათანხმდა, რომ ამ მიზნით მოწვეული წვრილი ხელმწიფის შვილი გამხდარიყო დიდი მაგისტრის აღსაზრდელი. შვიდი თვის განმავლობაში 966 ხერხი გამოსცადა დიდმა ვეზირმა კაცის კვლისა ყმაწვილი უფლისწულის თვალწინ, რომ მკვლელობა ესწავლებინა, მაგრამ ამაოდ. მას მხოლოდ ერთი ხერხიღა დარჩა გამოსაყენებელი, რომელიც იმთავითვე უტყუარ გზად მიაჩნდა. ამიტომაც შესთავაზა შეგირდს, რომ ბნელ საკანში შვიდი დღის განმავლობაში გამოკეტილიყვნენ, სადაც მეშვიდე დღეს ოსტატის ბნელი და მღვრიე სული უფლისწულის სხეულში გადავიდოდა და ოსტატის სიკვდილის წინ ის თავის დასახულ მიზანს მაინც მიაღწევდა, ანუ შეგირდს კაცის კვლას ასწავლიდა.

ოსტატისა და შეგირდის მარადიული თემა ამ იგავშიც გრძელდება. ოღონდ სიუჟეტის აგებისა და იდეის გამოხატვის თვალსაზრისით, ჯემალ ქარჩხაძე ჯერარნახულ სიმაღლეს აღწევს. მწერალი ხომ პარადოქსებისა და სილოგიზმების დიდოსტატია.

ჯემალ ქარჩხაძის მიერ წარმოდგენილი იგავურობა ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ინსტრუმენტს ქმნის მარადიული თემების — ბოროტების მექანიზმებისა და ადამიანური ბუნების საკვლევად. ამ იგავშიც, ისევე როგორც სხვა ნაწარმოებში, მწერალი მიმართავს უნივერსალურ სიუჟეტს, მინიმალისტურ გარემოსა და სიმბოლურ პერსონაჟებს, რათა დროსივრცული ქრონოტოპით ადამიანის ზნეობრივი პრობლემები გააშიშვლოს.

მწერალი იკვლევს, თუ როგორ იბადება, ვრცელდება და ინარჩუნებს ძალაუფლებას ბოროტება. პარადოქსების დიდოსტატი მწერლის აზრით, კანონი მხოლოდ მაშინ შეიძლება ამოქმედდეს, თუ მას დაარღვევენ. კაცის კვლის „დანერგვა“ იმისათვისაა საჭირო, რომ

ამოქმედდეს კანონი კაცის კვლის დანაშაულთან დაკავშირებით, ანუ დაისაჯოს დამნაშავე. შეუძლებელია პირველი კაცის კვლის ისტორია არ გავიხსენოთ ბიბლიიდან. კაენის მიერ აბელის მოკვლა ისჯება შემოქმედის მიერ, თუმცა სწორედ ამ მკვლელობით იწყება გრძელი და დაუსრულებელი ჯაჭვი კაცთა კვლისა. ასევე შეიძლება გავიხსენოთ მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში გოდერძი ჩოხელის მიერ ნაჩვენები დრამატული სურათი, როგორ მოკლეს მთის სოფლის მცხოვრებლებმა მათთან ადამიანური ჭაბუკური სხეულით მისული სიკვდილი.

მცნება– არა კაც კლა! ადამიანთა სამყაროში მრავალგზის დაირღვა. და ყველაზე შემაძრწუნებელი, რასაც მწერალი ერთი შეხედვით გვეუბნება, ისაა, რომ შეუძლებელია ადამიანებმა ამ დარღვევის გარეშე იცხოვრონ. თითქოსდა მრავალგზის გამეორებულ ფილოსოფიურ საზრისს კიდევ და კიდევ უბრუნდება ჯემალ ქარჩხაძე, როდესაც იძიებს ადამიანში არსებულ ბაზისს დამღუპველი ცოდვებისადმი მიდრეკილების შესახებ. „არა არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდოს,“–კვლავ დაბეჯითებით გვიმტკიცებს მწერალი და ასკვნის, რომ ცოდვას მემკვიდრეობითობა ახასიათებს. სრულიად უმანკო და უცოდველი უფლისწული, რომელსაც 966 მკვლელობა აჩვენეს(ფაქტობრივად, მკვლელობის უამრავი სახე) უარმყოფელია ამ მძიმე ქმედებისა. არ „სწავლობს“ მკვლელობას. და მხოლოდ ბოლო, განსაკუთრებული გაკვეთილი–გამოცდა აღმოჩნდება მისთვის მკვლელად ქცევის იმპულსი– რათა დაიცვას თავი ოსტატის ბოროტი სულის ზეგავლენისაგან, მას ფიზიკურად კლავს. თუმცა ოსტატის მიზანი ხომ უკვე მიღწეულია–საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლო მკვლელობის დიდოსტატმა შეგირდისათვის მკვლელობა ესწავლებინა.

სახარების იგავი „ბოროტი მევენახეები“ მკაფიოდ ათვალსაჩინოებს, როგორ კლავენ ბოროტი მევენახეები მათთან მისულ ჭაბუკს. სინამდვილეში კი მისი სახით კლავენ ღვთის ძეს, კლავენ ღვთაებრივ არსს საკუთარ არსებაში, სიყვარულს, სინათლეს, სიკეთესა და სინდისს. ადამიანური საზრისი ამქვეყნად მოვლენილი კაცისა ასე ნადგურდება; ადამიანი ან ვერ იაზრებს თავის მისიას სამყაროში, ან იაზრებს და ვერ ახერხებს მკვლელი საცეცებიდან თავის დაღწევას. ამ მოსაზრებას გვიდასტურებს მარტინ ჰაიდეგერი, როცა ყოფის საზრისსზე გვესაუბრება და მას მყოფობისა და ნათების ცნებას უკავშირებს: „განათება/ნათება თავად ნიშნავს ყოფნის საზრისს და საერთოდ ყოფნის შესაძლებლობის მთლიანობასა და ერთიანობას..“[ბერიაშვილი 2019 :149]

ამ ნათებას, ცოდნის, გამოცდილებისა და ხელობის გადაცემას, მემკვიდრეობითობის პრინციპს ტრადიციულად გულისხმობს ოსტატისა და შეგირდის საქმიანი ურთიერთობა. ასევე ბუნებრივად ივარაუდება, რომ დროთა განმავლობაში შეგირდი თავად გახდება ოსტატი. ეს ურთიერთობა მეტწილად იგივდება მოძღვრისა და სულიერი შვილის დამოკიდებულებებთან თავისი ღირებულებით. მაგრამ ჯემალ ქარჩხაძის „ოსტატი“ ღირებულებითი სისტემის თვალსაზრისით სრულიად მიუღებელ მემკვიდრეობითობაზე ამახვილებს ყურადღებას.

იქნებ მწერალს, მართლაც, იმის თქმა უნდა, რომ ბოროტება მემკვიდრეობითი და განგრძობითია? თუმცა ამავე დროს სრულიად ბუნებრივად ჩნდება საწინააღმდეგო მოსაზრება –ბოროტება მაშინაა განგრძობითი, როდესაც ამის ნება არსებობს. რომ არა ხელმწიფის ნება–მის სახელმწიფოში კანონი მკვლელების დასჯის შესახებ ამოქმედებულიყო–დიდი ვეზირი თავის ე.წ. სიბრძნეს უფლისწულს არ გადასცემდა. შესაბამისად, არც უფლისწული გახდებოდა ოსტატის მკვლელი და იმ სახელმწიფოში,

რომელმაც არ იცოდა, რა არის კაცის კვლა, ცხოვრება ამ ბოროტების გარეშე გაგრძელდებოდა. მაშასადამე, თუ ადამიანი მოისურვებს განეშოროს ბოროტებას, იბრძოლებს კიდეც ამისათვის. ლაკონიური თხრობითი დისკურსით „ოსტატი“ მკითხველს აიძულებს დაფიქრდეს საკუთარ ზნეობრივ არჩევანზე. ფილოსოფიური თვალსაზრისით , „თავისუფლად ყოფნა ...ჰაიდეგერის ფუნდამენტურ ონტოლოგიაში აღნიშნავს ადამიანის მიერ თავისი შესაძლებლობების ამორჩევის არჩევას“[ბერიაშვილი 2019: 159] და განსაზღვრას იმისა, სურს თუ არა მას ბრალეული იყოს ფიზიკურ თუ მორალურ დანაშაულში სიკვდილ–სიცოცხლის რაობის ამოცნობისას.

როლან ბარტი წერს, „ჩვენი ლიტერატურა –ასი წელია უკვე –სიკვდილთან სახიფათო თამაშს ეწევა; თითქოსდა საკუთარ სიკვდილს განიცდის; იგი მსგავსია რასინის ერთი გმირისა(ერიფოლე „იფიგენიაში“), რომელიც კვდება, როცა თავის თავს შეიმეცნებს, ხოლო ცოცხლობს საკუთარი არსის ძიებით. სწორედ ამითაა განპირობებული მისი ტრაგიზმი: ამჟამად თითქოსდა ისტორიულ ჩიხში მდგარი ჩვენი საზოგადოება ლიტერატურას მხოლოდ ოიდიპოსისათვის ნიშნეულ კითხვას უტოვებს: ვინ ვარ მე? და უკრძალავს, იმავდროულად, კითხვის დასმას ჭეშმარიტ დიალექტიკურ ჭრილში: რა ვაკეთო?“[ბარტი, 2015:207] რა თქმა უნდა, ლიტერატურისათვის დასმული შეკითხვა საზოგადოებრივი ცხოვრების უმწვავესი საკითხია.

ჯემალ ქარჩხაძეც სწორედ ამ ფუნდამენტურ კითხვას უსწორებს თვალს და, არაერთ ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი სწორედ იგავში „ოსტატი“ წარმოაჩენს სიცოცხლის არსს. მწერალი ადამიანის მიერ საკუთარი არსის ძიების, ნებისა და ქმედების ურყევობისა და აუცილებლობის შესახებ მიგვანიშნებს. მისი ჰუმანიზმი სცდება ყველა ეპოქის პირობით ზღვარს და ქმნის იგავურ სააზროვნო კოგნიტურ არეალს, რომლის კონცეპტები ცოდვით დასნებოვნებული სულის განკურნებას, გონების გამართვასა და გაჯანსაღებას, ღვთიური პირველსახის აღძვრას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიური იგავები, ჯემალ ქარჩხაძე, მოთხრობა ოსტატი“

ლიტერატურა:

1.Alison J. *,,For those Outside,Everything Comes in Parables”:Recent Readings of the Parables from the Inside* , School of Divinity, University of Edinburg, 2008

2 .ბარტი, რ. *ლიტერატურა და მეტაენა, ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია,* ტ. III, გვ.206–207, თბილისი, 2015

3.ბერიაშვილი,მ. *მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფია სოციალურ–თეორიულ მიმართებებში,* გამომცემლობა „მერიდიანი“,თბილისი, 2019

4.დურგლიშვილი, ბ. *„იგავის მხატვრული ტრანსფორმაცია ჯემალ ქარჩხაძის პროზაში“*, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2023

5. კეკელიძე ლ. *წმინდა იოანე პეტრიწი, ოთხი ძეგლი.* თბილისი,1976

6. სიგუა ს. *შინაგანი მეტყველება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში*, ქართული ენა და ლიტერატურა ტ.5: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2009

7. Weeden T. *Recovering the Parabolic Intent in the Parable of the Sower,* Oxford University Press is collaborating with JSTOR to digitize, preserve and extend access to Journal of the American Academy of Religion, , XLVII/ 1, 97-120, 2017

Bela Durglishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
E-mail: beladurglishvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.11

Aspects of proverbial language in Jemal Karchkhadze's novel "Master"

Abstract

The work shows that, the main thing we should look for in the contexts of parables is the eternal wisdom that the masters of parables convey to us. If we consider that the world is a text, and every person is a text of some kind, then we can say that the modern world is the embodiment of a parable, and the person himself is a parable.

The idea of the poet cannot be confined to the framework of the local literary form from a genre perspective and acquires unlimited scope, because the poet has been present in the spheres of human knowledge since the earliest stages of the development of the world. Our particular interest is aroused by the figurative symbolism of parables, the wide range of meanings that can be expressed in literary texts in the same or different ways, at different times and in different contexts. The scope of this study is determined by the meaning of the figurative symbolism of parables in the Bible, in the Bible, in the Bible, in the Bible.

The narrative of the ancient Greeks in the literary world of the Mtserals takes on a more traditional character, while the synchronic-diacritical narration of the Greeks, on the other hand, is a paradigm shift in the cultural landscape. Martyrdom, the inexhaustible treasure trove of world literature, is first and foremost a source of wisdom and instruction, which conceals the secrets of the unknown. Wandering through the labyrinths of proverbs, he finds, as a guide, that proverb that, in every epoch, in every time, and even in different ethnic groups, preserves and carries the eternal meaning of the proverb.

In Georgian literature, this approach gains a new, more imaginative meaning in the work of Jemal Karchkhadze. His work "The Master," published in 2025 and now printed in manuscript form, is of particular interest. This is the only work that the writer specially copied by hand so that it would be easy for the reader to read. The essence of the story concerns the eternal problem – the mechanism of the inheritance of evil – and perhaps it is most relevant to our modernity.

Keywords: Biblical Parables, Jemal Karchkhadze, "Master"